ექსპერტიზის ანგარიში

ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა, # 1-ის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილების უსაფრთხოების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის, მოქ. ლევან დევდარიანის მიერ მოწოდებული პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩის, #1-ის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:
საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია ვექტორული და pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

2. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, შეშელიძის ქ. #1-ში. ტერიტორიაზე განთავსებული მოქმედი ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი სადგური. რეკონსტრუქციის შედეგად ფარდულის ქვეშ არსებული 4 ბუნებრივი გაზის მარიგებელი სვეტიდან მოხდება 2 ბუნებრივი გაზის მარიგებელი სვეტის დემონტაჟი და მათ ნაცვლად განთავსდება ბენზინის და დიზელის 2 მარიგებელი სვეტი, შესაბამისად რეკოსნტრუქციის შედეგად ფარდულის ქვეშ განთავსდება 2 ბუნებრივი გაზის მარიგებელი სვეტი და 2 ბენზინის და დიზელის საწვავის მარიგებელი სვეტი. ტერიტორიაზე განთავსდება 4 ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარი საერთო მოცულობით 58,84 მ3 (თითოეული რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 14,71 მ3) და 1 დამცავი კედელი. რეკონსტრუქციის შედეგად არ იცვლება შენობა-ნაგებობების ფასადები და რჩება არსებულ მდგომარეობაში.

დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტის მომზადებისას
გამოყენებულია შემდეგი კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ. დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წ. დადგენილება №63, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული ნორმატივების აღწერა:

პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #60: „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილების მიხედვით.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, პროექტში დაცულია ამ რეგლამენტით.

გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

კერძოდ: ტექნოლოგიურ დანადგარებს შორისი და ტექნოლოგიურ დანადგარებსა და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის შეზღუდვის ზონები (მანძილები მეტრებში) მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის "NFPA"-ს მიერ

დამუშავებულია ავტოგასამართ სადგურებსა და ავტოგასამართ კომპლექსებზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტის:

NFPA-30A („საავტომობილო საწვავის გამანაწილებელი მოწყობილობების კოორდინაციისა და სარემონტო ავტოფარეხების კოდექსი“) და NFPA-52 (ავტოსატრანსპორტო საშუალებების აირისებრი საწვავი)-ს შესაბამისად.

3. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

5. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა ინსპექტირების ორგანოს მიერ დამტკიცებული მეთოდებისა და პროცედურების რეგლამენტის მიხედვით.

კერძოდ, განხილულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

6. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებითგანსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები კლასიფიცირდება და შეესაბამება მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საქმიანი (სქ), სავაჭრო (სვ), სასაწყობო (სწ-1) და დამხმარე და სხვადსხვა დანიშნულების ჯგუფების დაკავებულობები.

1. **საქმიანი ჯგუფი სქ** წესების **304** თავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. **სქ** დაკავებულობისთვის (არსებული ადმინისტრაციული შენობა: არსებული ადმინისტრაციული შენობა (ოფისი, მომსახურე პერსონალის ოთახი, საოპერატორო, დირექტორის და ბუღალტერის ოთახები, სამექანიკოსო ±0,00 მ ნიშნულზე; განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს შესაბამისად 4-ს.

2. **სავაჭრო ჯგუფი სვ** - თხევადი საწვავის **საპროექტო** სარიგებელი სვეტები, არსებული აირის სარიგებელი სვეტები ±0,00 მ ნიშნ., შეესაბამება **307.1** (გამონაკლისი 2 და 3) და **309** ქვეთავებს, სავაჭრო ჯგუფი **სვ** დაკავებულობა, სხვებთან ერთად მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

   - აფთიაქებს;
   - ბაზრებს/მარკეტებს;
   - ბენზინ გასამართ სადგურებს.

   პროექტში სავაჭრო ჯგუფს მიეკუთვნება: არსებული და საპროექტო სარიგებელი სვეტები.

   დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **2,8** – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს შესაბამისად 2-2-ს.

3. **დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-3** (**საპროექტო** თხევადი საწვავის რეზერვუარების მიწისპირა სარკოფაგი) - ქვედა ნიშნ. -3,71 მ, მიწის პირა ნაწილის გადახურვის ნიშნული ±0,00 მ და შეესაბამება **წესების 307.5 ქვეთავს** - დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-3. შენობები და ნაგებობები, სადაც მოთავსებულია ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ წვას ან ქმნიან ფიზიკურ საფრთხეს, უნდა კლასიფიცირდეს,
   როგორც დსშ-3 ჯგუფისა. ასეთი ნივთიერებებია შემდეგი ტიპის, მაგრამ არა მხოლოდ ისინი:

- კლასი I, II ან IIIA აალებადი ან წვადი თხევადი ნივთიერებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება ან ინახება დახურულ კონტეინერებში, ან სისტემებში 103,4 კპა ან უფრო ნაკლები წნევის ქვეშ.

  საწვავის შესანახი რეზერვუარები მოთავსებულია სარკოფაგში (დახურული სისტემა, 4 რეზერვუარი, თითო 14,71 მ^3 მოცულობის) და შეესაბამება შემდეგ **ცხრილებს**: **414.2.5(2)** და **414.5.1** და **ქვეთავებს 414.3; 414.5.3; 414.6; 415.7; 415.8; 415.9.1.**

  დსშ-3 ჯგუფს არ შეესაბამება დაკავებულობის დატვირთვა.

  ავტოგასამართი სადგური შეესაბამება **406.7 ქვეთავის** მოთხოვნებს. ავტოგასამართი ადგილის ზედაპირი შეესაბამება **406.7.1 ქვეთავს,** ხოლო ჩარდახი **406.7.2 ქვეთავს.**

4. **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების დს ჯგუფის** დაკავებულობა არსებული საკომპრესორო (ელექტრო ფარები, საკომპრესორო, ფილტრების შესანახი, დამხმარე); საკომპრესოროს ნაწილების სათადარიგო სათავსო, დამხმარე ოთახები; არსებული საკომპრესორო (ელექტროფარები, საკომპრესორო, ფილტრების შესანახი, დამხმარე); არსებული ელექტროქვესადგური ±0,00 მ ნიშნ. - შეესაბამება წესების **312.1 ქვეთავს.** დამხმარე დანიშნულების შენობები, ნაგებობები და სხვადასხვა ნაგებობა, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს, უნდა აიგოს, აღიჭურვოს და შენარჩუნდეს წესების მოთხოვნათა შესაბამისად, მათი დაკავების დროს ხანძრისა და სიცოცხლისათვის შესაძლო საფრხის გათვალისწინებით. **დს** ჯგუფი მოიცავს შემდეგს, მაგრამ არა მხოლოდ:
   - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობებს;
   - ერთი ან ორი ოჯახის საცხოვრებლის დამხმარე საჰაერო ხომალდების ანგარებს (იხ. ქვეთავი 412.5);
   - ბეღლებს;
   - გადახურულ ავტოსადგომებს;
   - 1,8 მ-ზე მეტი სიმაღლის ღობეებს;
     საცხოვრებლების დამხმარე მარცვლეულის ბუნკერებს;
   - სათბურებს;
   - საქონლის სადგომს;
   - კერძო გარაჟებს და სხვ.

   დს ჯგუფის დაკავებულობას პროექტის მიხედვით მიეკუთვნება არსებული ადმინისტრაციულ შენობაში საკომპრესოროს ნაწილების სათადარიგო სათავსო, დამხმარე ოთახები; არსებული ელექტროქვესადგური ±0,00 მ ნიშნ. დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **27,9**, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, და დ.დ. შეადგენს 4+4-ს.

7. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების არსებული შენობებისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), საპროექტო შენობებში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობების სიმაღლეებიდან გამომდინარე განსაზღვრულია **V-B** კონსტრუქციის ტიპი.
შენობების მზიდი კედლები, რკინაბეტონის მონოლითური ფილებით გადახურვა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტიდან გამომდინარე არამზიდ გარე კედლებს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, იატაკების კონსტრუქცია -0 საათიანი.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

8. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

არსებული ადმინისტრაციული შენობის, საკომპრესოროს და ჩარდახის (ფარდულის) სიმაღლეები და ფართობები განსაზღვრულია წესების მე-**5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით და შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციების ტიპიდან (**V-B**) გამომდინარე, ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. შენობების დასაშვები სიმაღლე და ფართობები აკმაყოფილებს **503 ცხრილის** („შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობების შეზღუდვები ნაჩვენებია მ2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით) მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა **V-B** ტიპის კონსტრუქციებით.

შენობების დაკავებულობების ფართობების ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებული სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

9. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობების დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
წესების მე-**10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის** საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და შენობის სათავსოების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ არსებული ადმინისტრაციული შენობის გასავლელ-გამოსასვლელები შეესაბამება **მე-10 თავის 1005, 1007 და 1027 ქვეთავების** მოთხოვნებს, და იმის გათვალისწინებით, რომ რეკონსტრუქცია ეხება მხოლოდ სარიგებელი სვეტების და თხევადი საწვავის რეზერვუარების განთავსების ნაწილს და არ ეხება არსებულ შენობებს, ღიობების სიგანე არ განიხილება მოცემულ დასკვნაში.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება დაშვებულ ნორმებს თავისი სიმცირიდან გამომდინარე.

10. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

ყველა ჯგუფის დაკავებულობის გასასვლელების გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (5,1 მმ). გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 0,82 მეტრს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმულ ყველა გზა-კარი არ განიხილება, აკმაყოფილებს თუ არა **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან, რადგან რეკონსტრუქცია არ ეხება არსებულ შენობებს.

11. მისაწვდომობის შეფასება

ვინაიდან კორექტირება ეხება მხოლოდ სარიგებელ სვეტებს და მიწიექვეშა თხევადი საწვავის რეზერვუარებს, მისაწვდომობის საკითხი ვერ განიხილება.

12. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

არსებული შენობების გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი არ განიხილება **705 ქვეთავის** და **705.8 ცხრილს** მოთხოვნების შესაბამისობა, ასევე კონსტრუქციის ტიპი და ხანზარსაწინააღმდეგო მანძილები **602 ცხრილის** მიხედვით გარე კედლები არ განიხილება, რადგან არსებულია არ იცვლება.
საპროექტო რეზერვუარების სარკოფაგის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედელში ღიობების არარსებობა, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი განსაზღვრულია ზემოაღნიშნული ქვეთავებით და მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში გათვალისწინებული სარკოფაგის კედლების 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხი. დაცულია ყველა ყველა მანძილი საოპერატორო შენობის გარე კედლებამდე, სარიგებელ სვეტებამდე და ტერიტორიის საზღვრამდე.

13. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ანალიზმა აჩვენა:
საპროექტო ფარდულის სახურავის კონსტრუქციები და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს (**ცხრილი 1505.1ა**).

„**1505.4. C კლასის სახურავის ანაწყობები.** C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.“

14. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ტერიტორიის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
ტერიტორიაზე წარმოდგენილია არსებული ადმინისტრაციული შენობა,სადაც ±0,00 მ ნიშნულზე დაკავებულობა **სქ** დაკავებულობის ჯგუფი **დს**-სგან ითხოვს 2 სთ ცეცხლმედეგობის გამიჯვნას **601 ცხრილის** მიხედვით, რაც არ არის დაცული. საკომპრესოროს სათავსოები, როგორც გვიჩვენებს ანალიზი, ერთმანეთისგან გამოყოფილია დამცავი კედლებით.

15. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო ტერიტორიაზე შენობის დაკავებულობებისთვის წესების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ხანძრისგან დაცვის აქტიური სისტემები:

- ხელის ცეცხლმაქრები - **სქ, სვ** და **დს** ჯგუფების დაკავებულობებისთვის (**906 ქვეთავის შესაბამისად**);
- ხმოვანი განგაში **დს** და **სქ** ჯგუფში (**ქვეთავი 907.2.18.2**)
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები (**912 ქვეთავის შესაბამისად).**

16. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

არსებული წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (**ცხრილი 1602.1**).

17. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა, #1-ის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: **ნატალია ვასილიევა**

თბილისი

27. 11. 2023 წ

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	ნატალია ვასილიევა
დაბადების ადგილი:	საქართველო, თბილისი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41
ტელეფონი:	(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479
ენები:	ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1980 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). წარჩინების დიპლომი.

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. ასპირანტურა, მოწმობა.

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. სერტიფიკატები.

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტრენინგები.

ს ა მ უ შ ა ო გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა :

2017.11-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: ტექნიკური მენეჯერი.
2017.05-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: არქიტექტორი-ექსპერტი.
2017.05-	შპს „არქტრენინგ ცენტრი“, თანანმდებობა: ტრენერი.
2014-2017	შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია), თანანმდებობა: არქიტექტორი.
2011-2012	შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება) თანანმდებობა: არქიტექტორი.
2008-2011	შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა), თანანმდებობა: არქიტექტორი.
1998–1999	მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: კონსულტანტ–არქიტექტორი.
1987–1996	ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: უფროსი არქიტექტორი.
1979–1981	„თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: არქიტექტორი.
1973-1974	საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: ლაბორანტი.
1972-1973	კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: ტექნიკოს-არქიტექტორი.

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები,
წყნეთი გაზ- და ბენზინგასამართისადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი,
შეშელიძიოს ქ.
საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.,
61
ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი ბაზრის შენობა,
რუსთავი სასაწყობო შენობა
მრავალბინიანი საცხოველი კომპლექსი ქ. თბილისში, აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ
ქ. ბათუმი, საბავშვო ბაღები ##6, 10, 15,16
ქ. თბილისი, სამედიცინო ძაფების ქარხანა
ქ. თბილისი, ინგოროყვას კლინიკის რეკონსტრუქცია
ქ. თბილისი, ალადაშვილის კლინიკის რეკონსტრუქცია

ქ.თბილისი, კლინიკა ინ ვიტრო
ავტოგასამართი სადგურები თბილისში, გურჯაანში, ახმეტაში,
ყვარელში, მუხრანში, საგურამოში, თერჯოლაში, ოქროყანაში და სხვ.

უნარჩვევები:

საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;

ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;

ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

პუნქტუალობა
ორგანიზებულობა
ანალიტიკური აზროვნება
მაღალი პასუხისმგებლობა
ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი
კარგი კომუნიკაციის უნარი


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნატალია
NATALIA
გვარი / LAST NAME
ვასილიევა
VASILIEVA
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მდ / F
01019013928
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
09.02.1955
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
21.10.2029
ბარათის No / CARD No
19IA44248
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
21.10.2019
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE019IA44248201019013928<<<<
5502093F2910219GE0<<<<<<<<<<<4
VASILIEVA<<NATALIA<<<<<<<<<<<<


დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ვასილიევა ნატალია ვასილის ასულს

მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა საქართველოს ს.ორჯონიკიძის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1980 წელს დამთავრა დაწესებულების დასახელება

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ. „10" 07 გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარე [illegible]

რექტორი [illegible]

ქალაქი თბილისი 1980 წ. „30" 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой Наталье Азаровне

в том, что он(а) в 1974 году поступил(а) в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончил(а) полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 07 1980 г.

Васильевой Н.А.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор [illegible]

Секретарь [illegible]

М. П. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.

არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ს/ნ 402050052 მის: ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24 ტელ: 599 400 208

ქ. თბილისი 15/06/2022 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნატალია ვასილიევას (პ/ნ 01019013928, ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, შალვა ცინცაძის ქ. 41) მასზედ, რომ ის ნამდვილად მუშაობს შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრში“ არქიტექტორ-ექსპერტისა და ტექნიკური მენეჯერის თანამდებობაზე 2017 წლის 3 მაისიდან დღემდე.

ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

დირექტორი: /ჯ. ჯოხაძე/

შპს პროგრესი
პ.ქავთარაძის 14ა, 22-ე სართული, თბილისი
www.progresi.com.ge

ცნობა

ეძლევა მოქალაქე **ნატალია ვასილიევას** (პირადი ნომერი 01019013928) მასზედ, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის აპრილამდე ის მუშაობდა შპს 'პროგრესი'-ში (საინდეტიფიკაციო ნომერი: 204970380) არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს „პროგრესი"-ს
დირექტორი

ჯონი გიგინეიშვილი
აკადემიური დოქტორი მშენებლობაში

